ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1181438

ნომერი: AR1204265

თარიღი : 14.03.2014

გაცემის თარიღი : 21.03.2014

გაცნობის თარიღი : 24.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კარბელაშვილი პ/ნ 01010011498
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1 ბ. 45

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1204265 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 81.08.17.250; 81.08.17.249) სასაწყობე და საოფისე შენობა–ნაგებობის განთავსების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ),, „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ),, წარმოადგენს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე (ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებას #4-13) (28.12.2009 N 15–40).

აქვე მოგახსენებთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი: #81.08.17.250;81.08.17.249) ხვდება, გზის მოდერნიზაციისთვის დაგეგმილ შეზღუდვაში: „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით, ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის #104 (ცვლილება 25.04.2013წ. #340) საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით. 2009-2011 წლიდან დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა და ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნა გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება ან გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა(იხ.დანართი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე არქიტექტურის სამსახური, მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა ზემოაღნიშნული შენობა–ნაგებობების განთავსების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.